



ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტის

სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ

1. გამოყოფილი თანხის რაოდენობა, მთლიანი

ბიუჯეტის რამდენ პროცენტს შეადგენს:

მერიის გადაწყვეტილებით, 900 ათასი ლარი (გორის მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტის 5%) ექვემდებარება ექვს ადმინისტრაციულ ერთეულს, შესაბამისად თითოეული ადმინისტრაციული ერთეულისთვის 150,000 ლარის.

2. საბჭოები, სამოქალაქო ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფები

(დასახელება; შემადგენლობა; მისი როლი და ამოცანები;)

კოორდინატორი თავის ადმინისტრაციული ერთეულში, საზოგადოების აქტიურ წარმომადგენლებთან ერთობლიობაში განსაზღვრავენ "წარმომადგენლობითი საბჭოს" (გონივრულ ფარგლებში, თუმცა მონაწილეთა რაოდენობა არ არის შეზღუდული), რომელიც უნდა



შედგებოდეს თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის თემების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც არჩეულნი არიან თემის მიერ, ცხოვრობენ ამ თემში და მისი აქტიური წევრები არიან.

"წარმომადგენლობის საბჭო" პროექტის ფარგლებში მუდმივი ჯგუფი იქნება. მისი ფუნქციები მოიცავს: საბოლოოდ განსაზღვროს, გაანალიზოს. წარმოდგენილი საინიციატივო პროექტები. წარმოდგენილი ინიციატივების შერჩევა "წარმომადგენლობითი საბჭო" მოახდენს კონსენსუსის გზით (ხელშეკრულების თანახმად).

3. რეგიონის/ქალაქის ზონებად დაყოფა

გორის მუნიციპალიტეტი პროექტის ფარგლებში, დაყოფილია ნადამინისტრაციულ ერთეულად:

- I. 1 და 2 უბნის ცენტრალური დასახლება.
- II. 1 და 2 ოლქების კომბინატის დასახლება.



III. ჩალა-წყაროსუბნის დასახლება და სადგურის ელექტროფიკაციის დასახლება.

IV. წმიდაწყალის I და II (ვოლოგდის) რაიონების დასახლება.

V. კვერნაკისა და ვერვევების დასახლებები

VI. ვერხვების ლტოლვილთა დასახლებები.

ამდგვარი დაყოფის მიზნები იყო ტერიტორიული სიახლოვე და მჭიდრო კავშირები.

4. გამოყოფილი თანხების განაწილება:

თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს გამოეყო თანხა 150,000.00 ლარის ოდენობით (ასი ორმოცდაათი ათასი ლარი). ამ თანხით, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით, შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე პროექტი, რომლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 150,000 ლარს.

5. ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა?

ქ.გორში "სამოქალაქო ბიუჯეტის" პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერი კომპეტენტურ ზრდასრულ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.

6. რა პროექტები შეიძლება წარადგინონ?

"სამოქალაქო ბიუჯეტის" პროექტის ფარგლებში განხილვისთვის შესაძლებელია პროექტების წარდგენა მუნიციპალური წესების შესაბამისად.

7. ეტაპები და გრაფიკი (სახელი, ხანგრძლივობა, ძირითადი ქმედებები და რეგულაციები):

განაცხადის ფორმით წარმოდგენილი საინიციატივო პროექტები (დასკანერებული ვერსიები) მოქალაქე აგზავნის გორის მუნიციპალიტეტის საკონტაქტო ელფოსტის მისამართზე contact@gori.gov.ge წერილობითი ფორმით.

განაცხადების მიღების დროს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირი ამოწმებს განაცხადის ტექნიკურ

ასპექტებს და წარუდგენს მერს რეკომენდაციებს პროექტების ინიციატივების თაობაზე სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

მერი გადასცემს საპროექტო ინიციატივებს "სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოში"(1 კვირა). აქ განიხილება / მოწმდება პროექტების ტექნიკური, ფინანსური და იურიდიული ასპექტები. განხილვის შედეგებს აცნობენ მერს, შედეგებს ასევე თან ახლავს ნებართვის მოთხოვნა უფლებამოსილი პირის მიერ შედეგების გამოქვეყნებაზე. მერის ნებართვით უფლებამოსილი პირი (1 კვირა) ოფიციალურ ვებ-გვერდზე პირველად ათავსებს შედეგებს. დამტკიცებული, დამოწმებული პროექტები განმცხადებლებს გადაეგზავნება და კოორდინატორებს ეცნობება "წარმომადგენლობითი საბჭოს" ინიციატივების საბოლოო განხილვის შესახებ.

ქალაქების დასახლებების ერთეულში ჩატარდება საორგანიზაციო სამუშაოები "წარმომადგენლობითი

საბჭოს" სხდომის ჩასატარებლად.. დამტკიცებული პროექტები წარმოდგენილი იქნება მუნიციპალურ ბიუჯეტში 2018 წელს. (2 კვირა)

პირველადი შედეგების მიღების შემდეგ, "სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო" იწვევს "წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს" ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც კონსენსუსის საფუძველზე შეარჩევენ პრიორიტეტულ პროექტებს 2018 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.(20 დღე)

კოორდინატორები აცნობებენ შერჩეული პროექტის ინიციატივებს მერს (15 დღე) და მერი, 10 დღის განმავლობაში, აცნობებს ამ ინფორმაციას "სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს" სტატისტიკის აღრიცხვისთვის. შემდეგ შერჩეულ პროექტებზე ინფორმაცია მიეწოდება მერიის ფინანსურ და საბიუჯეტო სამსახურებს მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის და უფლებამოსილ პირს

გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაციის საიტზე ასატვირთად.

შერჩეული პროექტები ხორციელდება გორის მერიის მიერ, წესით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ხორციელდება გამარჯვებული პროექტების სამოქალაქო მონიტორინგი.

8. ვინ მონაწილეობს (ჩართულია) სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში მუნიციპალიტეტის მხრიდან?

მუნიციპალიტეტის მერი, მერიის ადმინისტრაცია, მერის მოადგილე, იურიდიული განყოფილება, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილება, ეკონომიკური განვითარების განყოფილება, სოციალური კეთილდღეობის და ჯანდაცვის განყოფილება, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის განყოფილება და მშენებლობის, მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციის ცენტრი.